




სასწავლო პროგრამის შემუშავების სარეკომენდაციო  
სახელმძღვანელო და თემატიკა

სწავლების სფერო:  
მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა



სსიპ-ვანო ხუხუნიაშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და  
ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი  
2016

## დოკუმენტის მიზანი

დოკუმენტის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამების მიმწოდებლებისათვის რეკომენდაციების მიცემა, რათა მათ მიერ შემუშავებულმა სასწავლო პროგრამებმა ხელი შეუწყოს საჭირო კომპეტენციის გამომუშავებას ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული იმ მოხელეებისათვის, რომელთა ფუნქცია-მოვალეობაა მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის საკითხებზე მუშაობა.

დოკუმენტში მოცემულია **მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის** სწავლების სფეროს სასწავლო პროგრამისთვის დადგენილი შესასწავლი თემატიკა.

დოკუმენტი შემუშავებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტთან თანამშრომლობით

# I. სამუშაოს ანალიზი და დასაქმებულის კომპეტენციები

## 1. სამუშაოს მოკლე აღწერა

მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სამუშაო მოიცავს: ქვეყნის სივრცითი განვითარების პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობას, კომპეტენციის ფარგლებში სივრცითი განვითარების ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობას, მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმისა და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების ინიცირებას, შემუშავებასა დამართვას ,ქალაქთმშენებლობითი კადასტრის წარმოებას, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას, ცალკეული ტერიტორიების სამშენებლო განვითარებისთვის დასკვნების მომზადებას, საინვესტიციო წინადადებების შემუშავებაში მონაწილეობას, ცალკეული მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენას, მუნიციპალიტეტის დასახლებების ადმინისტრაციული საზღვრების დადგენის პროცესში მონაწილეობას.

სამუშაოს შესრულების პროცესში დასაქმებულმა უნდა გამოავლინოს პასუხისმგებლობა და სიზუსტე.

## 2. მოვალეობები და ამოცანები

№	მოვალეობები	ამოცანები
1.	ქვეყნის სივრცითი განვითარების პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა	<ol style="list-style-type: none"><li>1. სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესისთვის საჭირო ინფორმაციის (საკანონმდებლო, ინსტიტუციური და ფიზიკური გარემოს) შეგროვება</li><li>2. სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი სახელმწიფო უწყებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება</li></ol>
2.	სივრცითი განვითარების ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა	<ol style="list-style-type: none"><li>1. ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავების პროცესისთვის საჭირო ინფორმაციის (საკანონმდებლო, ინსტიტუციური და ფიზიკური გარემოს შესახებ) შეგროვება</li><li>2. ინფორმაციის ანალიზი</li><li>3. წინადადებების/რეკომენდაციების შემუშავება</li><li>4. ქვეყნის სივრცითი განვითარების პოლიტიკასთან თავსებადი მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების</li></ol>

		სტრატეგიის შემუშავება
3.	სივრცითი მოწყობის გეგმისა და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების ინიცირება და შემუშავება და მართვა	<ol style="list-style-type: none"> <li>1. წინასაპროექტო კვლევა – ფიზიკური გარემოს კვლევა, დოკუმენტური კვლევა და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება</li> <li>2. გეგმარებითი დავალების პროექტის შემუშავება და საკრებულოსთვის წარდგენა</li> <li>3. სივრცითი მოწყობის გეგმის პროექტის შემუშავება და საკრებულოსთვის წარდგენა</li> <li>4. ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის პროექტის შემუშავება და საკრებულოსთვის წარდგენა</li> <li>5. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების მონიტორინგი</li> <li>6. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების განახლება</li> </ol>
4.	ქალაქთმშენებლობითი კადასტრის წარმოება	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ქალაქთმშენებლობითი კადასტრის შედგენისა და წარმოების წესის შემუშავება</li> <li>2. ქალაქთმშენებლობითი კადასტრის პერიოდული განახლება</li> <li>3. არსებული ინფორმაციის (ფიზიკურ-გეოგრაფიული, საინჟინრო ინფრასტრუქტურა, სამართლებრივი რეჟიმები და სხვა) შეგროვება</li> </ol>

5.	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება	<ol style="list-style-type: none"> <li>1. განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების (სპეციალური განაცხადი, მიწის ნაკვეთის სიტუაციური და ტოპოგრაფიული გეგმები, საკადასტრო საზღვრების გეგმა) მიღება/რეგისტრაცია</li> <li>2. წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობის შემოწმება დადგენილ მოთხოვნებთან</li> <li>3. საჭიროების შემთხვევაში, განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების სხვა ადმინისტრაციული ორგანოსათვის გადაცემა</li> <li>4. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა</li> </ol>
6.	ცალკეული ტერიტორიების სამშენებლო განვითარებისთვის დასკვნების მომზადება	<ol style="list-style-type: none"> <li>1. განცხადების მიღება/რეგისტრაცია</li> <li>2. არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების შეფასება</li> <li>3. დასკვნის (ადმინისტრაციული დაპირების) გაცემა</li> </ol>
7.	ცალკეული მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენა	<ol style="list-style-type: none"> <li>1. განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების მიღება/რეგისტრაცია</li> <li>2. წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობის შემოწმება დადგენილ მოთხოვნებთან</li> <li>3. საზღვრების პროექტის განხილვა</li> <li>4. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა</li> </ol>
8.	მუნიციპალიტეტის დასახლებების ადმინისტრაციული საზღვრების დადგენის პროცესში მონაწილეობა	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ადმინისტრაციული საზღვრების პროექტების მომზადება</li> <li>2. ტერიტორიების მარკირება</li> <li>3. აქტის პროექტის მომზადება და საკრებულოსთვის წარდგენა</li> </ol>

### 3. დასაქმებულის ცოდნა და უნარები

№	მოვალეობები	ცოდნა - იცის	უნარები - შეუძლია
---	-------------	--------------	-------------------

1.	ქვეყნის სივრცითი მოწყობის პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები და მუნიციპალური ორგანოების კომპეტენცია</li> <li>• ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებები; მარტივი ადმინისტრაციული წარმოება</li> <li>• სივრცითი მოწყობის დარგის სახელმწიფო და ადგილობრივი პოლიტიკის საფუძვლები</li> <li>• კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები და მათი რეჟიმები</li> <li>• არქიტექტურული, ქალაქ-მშენებლობისა და საპარკოპროექტების გამოყენების განსაკუთრებული უფლების გამოყენების საფუძვლები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პოლიტიკის შემუშავების პროცესისთვის საჭირო ინფორმაციის (საკანონმდებლო, ინსტიტუციური და ფიზიკური გარემოს) შეგროვება</li> <li>• სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი სახელმწიფო უწყებისთვის ამ ინფორმაციის მიწოდება</li> </ul>
2.	კომპეტენციის ფარგლებში სივრცითი განვითარების ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• დასახლება-ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საფუძვლები და წესები;</li> <li>• ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენცია მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სფეროში</li> <li>• სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმები და წესები</li> <li>• დაგეგმვაზე უფლებამოსილი უწყებები, დაგეგმვის ტიპები და იერარქია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პოლიტიკის შემუშავების პროცესისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება (საკანონმდებლო, ინსტიტუციური და ფიზიკური გარემოს შესახებ)</li> <li>• ინფორმაციის ანალიზი</li> <li>• წინადადებების/რეკომენდაციების შემუშავება</li> </ul>

3.	სივრცითი მოწყობის გეგმისა და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების ინიცირება, შემუშავება და მართვა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმები და წესები</li> <li>• სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სახელმძღვანელო პრინციპები</li> <li>• სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის დაგეგმვის ტიპები და იერარქია</li> <li>• წინასაპროექტო კვლევის მეთოდები</li> <li>• გეგმარებითი დავალების პროექტის შემუშავების წესები და ტექნიკები</li> <li>• სივრცითი მოწყობის გეგმის პროექტის შემუშავების წესები და ტექნიკები</li> <li>• ქალაქთმშენებლობის დოკუმენტის პროექტის შემუშავების წესები და ტექნიკები</li> <li>• ყოვლისმომცველი გეგმის აუცილებელი ელემენტები</li> <li>• მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და განაშენიანების რეგულირების გეგმის სტრუქტურა</li> <li>• დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცების პროცედურა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• წინასაპროექტო კვლევის ჩატარება (ფიზიკური გარემოს კვლევა, დოკუმენტური კვლევა, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება)</li> <li>• გეგმარებითი დავალების პროექტის შემუშავება</li> <li>• სივრცითი მოწყობის გეგმის პროექტის შემუშავება</li> <li>• ქალაქთმშენებლობის დოკუმენტის პროექტის შემუშავება</li> <li>• სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების მონიტორინგი</li> <li>• სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების განახლება</li> </ul>
4.	ქალაქთმშენებლობითი კადასტრის წარმოება	<ul style="list-style-type: none"> <li>• სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების იერარქია და მათი ძირითადი შემადგენელი ნაწილები</li> <li>• ქალაქთმშენებლობითი კადასტრის შედგენისა და</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების და მათი შემადგენელი ნაწილების ან/და მონაცემების დატანა / სისტემატიზაცია</li> <li>• ქალაქთმშენებლობითიკად</li> </ul>

		წარმოების წესი	ასტრის წარმოება ქალაქთმშენებლობითიკადას ტრისშედგენისადაწარმოების წესის შესაბამისად
5.	სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დამტკიცება	<ul style="list-style-type: none"> <li>• განაცხადის შემადგენლობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ</li> <li>• დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები</li> <li>• მიწათსარგებლობის გენერალური და განაშენიანების რეგულირების გეგმა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების მიღება/რეგისტრაცია</li> <li>• წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობის შემოწმება დადგენილ მოთხოვნებთან</li> <li>• ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემა</li> </ul>
6.	ცალკეული ტერიტორიების სამშენებლო განვითარებისთვის დასკვნების მომზადება	<ul style="list-style-type: none"> <li>• არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების შეფასების მეთოდები</li> </ul>	არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების შეფასება
7.	ცალკეული მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენა	<ul style="list-style-type: none"> <li>• საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს №261 დადგენილება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში შემავალი მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენის წესის დამტკიცების თაობაზე</li> <li>• მიწის ნაკვეთის საზღვრების დადგენა დასაპროექტო დოკუმენტაციის შემადგენლობა</li> <li>• მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის მიწის ნაკვეთ(ებ)ის საზღვრების პროექტის დამუშავების</li> </ul>	ცალკეული მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს N 261 დადგენილებით განსაზღვრული წესების შესაბამისად



		საფუძველი	
8.	მუნიციპალიტეტის დასახლებების ადმინისტრაციული საზღვრების დადგენის პროცესში მონაწილეობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენცია დასახლებათა (ქალაქის, დაბის, სოფლის) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სფეროში</li> <li>• დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები და წესები</li> <li>• ადმინისტრაციული საზღვრების დადგენის წესები</li> <li>• ტერიტორიების მარკირების წესები</li> <li>• აქტის პროექტის მომზადების ტექნიკები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადმინისტრაციული საზღვრების პროექტის მომზადება</li> <li>• ტერიტორიების მარკირება</li> <li>• აქტის პროექტის მომზადება</li> </ul>

#### 4. ქცევა და ღირებულებები

- კონფიდენციალობის დამცველი
- პასუხისმგებლობის მქონე
- კეთილსინდისიერი
- ობიექტური
- პუნქტუალური
- ორგანიზებული
- კოლეგიალური
- მომთმენი
- პრინციპული
- მოქნილი

#### 5. ზოგადი ცოდნა და უნარები

##### 5.1. შემეცნებითი, შემოქმედებითი და მათემატიკური უნარები

- კომუნიკაციის უნარი
- მოლაპარაკებების წარმართვის უნარი
- კონფლიქტური სიტუაციების მართვის უნარი
- გუნდური მუშაობის უნარი
- დეტალებზე ორიენტირებულობის უნარი
- კრეატიული აზროვნების უნარი
- ანალიზის უნარი
- ობიექტური შეფასების უნარი

## 5.2. კომუნიკაცია ქართულ და უცხოურ ენებზე

- კითხვა (ქართულ ენაზე)
- წერა (ქართულ ენაზე)
- ზეპირი კომუნიკაცია (ქართულ ენაზე)

## 5.3. ინფორმაციულ-კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება

Microsoft Word, Microsoft Excel, Microsoft Powerpoint; ინტერნეტი  
გეო-საინფორმაციო სისტემების პროგრამები, CAD

## 6. მატერიალური რესურსები

- კომპიუტერი, პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი
- ინტერნეტი
- ტელეფონი

## 7. სამომავლო ტენდენციები და ცვლილებები

- ახალი სტანდარტების დანერგვა
- კომპიუტერული სისტემების ცოდნა პროფესიისათვის საჭირო ინფორმაციის მოსაძიებლად
- ინოვაციების დანერგვა

## II. სასწავლო პროგრამის ელემენტები

1. **დაშვების წინაპირობა:** განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ კონკრეტული სასწავლო პროგრამისთვის
2. **მიზნობრივი ჯგუფი:** ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები, რომელთაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უწყვეტ სივრცით-ტერიტორიული მოწყობის საკითხებზე მუშაობა.
3. **მსმენელთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა:** 5-15 მსმენელი
4. **სასწავლო პროგრამის სარეკომენდაციო თემატიკა:**
  - ❖ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენცია დასახლებათა (ქალაქის, დაბის, სოფლის) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სფეროში

- ❖ დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები და წესები
- ❖ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმები და წესები
- ❖ სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სახელმძღვანელო პრინციპები
- ❖ სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის დაგეგმვის ტიპები და იერარქია
- ❖ წინასაპროექტო კვლევის მეთოდები
- ❖ გეგმარებითი დავალების პროექტის შემუშავების წესები და ტექნიკები
- ❖ სივრცითი მოწყობის გეგმის პროექტის შემუშავების წესები და ტექნიკები
- ❖ ქალაქთმშენებლობის დოკუმენტის პროექტის შემუშავების წესები და ტექნიკები
- ❖ ყოვლისმომცველი გეგმის აუცილებელი ელემენტები
- ❖ დასახლებათა სივრცით-

ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცების პროცედურა

- ❖ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და განაშენიანების რეგულირების გეგმის შემადგენლობა
- ❖ ადმინისტრაციული საზღვრების დადგენის მეთოდები
- ❖ ტერიტორიების მარკირების წესები
- ❖ აქტის პროექტის მომზადების ტექნიკები
- ❖ ქალაქთმშენებლობითიკადასტრისშედგენისადაწარმოებისწესი
- ❖ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების იერარქია და მათი ძირითადი შემადგენელი ნაწილები

#### საკანონმდებლო ბაზა:

- ❖ საქართველოს ორგანულიკანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისკოდექსი“ (უფლებამოსილებებისნაწილი)
- ❖ საქართველოს კანონი „საქართველოსზოგადიადმინისტრაციულიკოდექსი“
- ❖ საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“
- ❖ საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“
- ❖ საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“
- ❖ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის№59 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“
- ❖ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს №261 დადგენილება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში შემავალი მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენის წესის დამტკიცების თაობაზე“
- ❖ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის №104 განკარგულება „საქართველოს საავტომობილო გზების რიგ მონაკვეთებზე რეკონსტრუქცია – მოდერნიზაციის (მშენებლობის) სამუშაოების განხორციელების მიზნით ზოგიერთ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“

#### 5. სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგები

კურსის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვის დონეების იდენტიფიცირება

- თვითმმართველობის კომპეტენციის განსაზღვრა მუნიციპალიტეტის და დასახლებათა (ქალაქის, დაბის, თემის, სოფლის) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სფეროში
- წინასაპროექტო კვლევის ორგანიზება
- გეგმარებითი დავალების დამტკიცებაში მონაწილეობა
- მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის, მიწათსარგებლობის გენერალური და განაშენიანების რეგულირების გეგმების პროექტების შემუშავება
- ქალაქთმშენებლობითი კადასტრის წარმოება
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებისათვის ადმინისტრაციული წარმოების დეტალებში გარკვევა
- ცალკეული ტერიტორიების სამშენებლო განვითარებისთვის დასკვნების მომზადება
- ცალკეული მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენა
- მუნიციპალიტეტის დასახლებების ადმინისტრაციული საზღვრების დადგენის პროცესში მონაწილეობა

## 6. სწავლების პროცესის ორგანიზების ფორმა და სწავლებისა და შეფასების მეთოდები

პროგრამა შედგება თეორიული და პრაქტიკული ნაწილებისაგან. პროგრამის მინიმუმ 40% პრაქტიკულ სწავლებაზეა ორიენტირებული.

სწავლის პროცესი უნდა იყოს მსმენელზე ორიენტირებული. რეკომენდებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება, როგორებიცაა: მცირე ზომის ლექციები - პრეზენტაცია, დისკუსია, ინდივიდუალური და ჯგუფური სამუშაოები, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება. სასწავლო პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარების გამომუშავებას, რაც თვითმმართველობის მოხელეს უნდა დაეხმაროს სამუშაოს შესრულებაში. რეკომენდებულია სწავლების მეთოდიკა იმდაგვარად შეირჩეს, რომ ხელი შეუწყოს კომუნიკაციის უნარების გამომუშავებას (ჯგუფური მუშაობის მეთოდები, შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია ჯგუფში, არგუმენტების ჩამოყალიბება, საკუთარი პოზიციის დასაბუთება დისკუსიის პროცესში და ა.შ).

მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება, მსმენელებისათვის უკუკავშირის სისტემატურად მიცემა. სასწავლო პროგრამის დასრულებისას ტრენინგის მიმწოდებელი ატარებს განმსაზღვრელ შეფასებას (წერილობითი სახით), რომელიც უნდა იყოს სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე და პრაქტიკული, უზრუნველყოს მიღებული ცოდნისა და უნარების შეფასება. შემაჯამებელი შეფასების დავალებები მსმენელმა დახმარების გარეშე უნდა შეასრულოს.